www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 15 აგვისტო, 2013 წელი. | №3345 (152) | ფასი 50 თეთრი

როცა პენსია იზრდება



პუტინის „წინასაარჩევნო„ ვიზიტი აზერბაიჯანში

ივა შილაკაძე

სამშაბათს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში იმყოფებოდა. დელეგაციაც საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. პრეზიდენტს თან ახლდა ექვსი მინისტრი, აგრეთვე მსხვილი სახელმწიფო და კერძო კომპანიების ხელმძღვანელები. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა რამდენიმე ხელშეკრულებას, თუმცა ურთიერთობებში რაიმე სტრატეგიული გარღვევა არ მომხდარა და პრინციპში ამის იმედი მაინცდამაიც არავის ჰქონია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ასობით დაღუპული ეგვიპტეში კარვების ქალაქების აღებისას

ივა შილაკაძე

გუშინ კაიროში უსაფრთხოების ძალებმა, ფაქტობრივად, აიღეს პანარაბული მოძრაობა „მუსლიმანი ძმების“ კარვების ქალაქები. მოძრაობა გადაყენებული პრეზიდენტის მოჰამედ მურსის თანამდებობაზე დაბრუნების მოთხოვნით სადღეღამისო უწყვეტ აქციებს აწყობდა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

მუმბაის პორტში რუსული წარმოების წყალქვეშა ნავი აფეთქდა

ივა შილაკაძე

მუმბაის პორტში, წყალქვეშა ნავ „სინდხურაკშაკზე“ („ზღვის გოლიათი“) სამშაბათ საღამოს, ადგილობრივი დროით, დაახლოებით, თერთმეტის ნახევარზე ძლიერი აფეთქება მოხდა, რომელსაც ხანძარიც მოჰყვა. აფეთქებისას გემის ბორტზე, ზევიდან მყოფი რამდენიმე ადამინი იძულებით გადახტა წყალში და გადარჩა, ისინი მცირე დაზიანებებით საავადმყოფოში მოათავსეს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6452⇓
1 ევრო	2.0679⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5746⇓
1 თურქული ლირა	0.9116⇓
100 რუსული რუბლი	5.1083⇓

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	33°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ყურებჩამოყრილის მონოლოგი

კახა ფაჩუაშვილი

ყაზახური ფეხბურთის 100 წლისთავი ღირსეულად ჩავატარეთ. უმაღლეს დონეზე, როგორც ვიცით ხოლმე. ჩვენ რა შეგვეშლებოდა? განაფული ვართ მსგავს სიტუაციებში. როცა მომმეს უჭირს პირველად ჩვენ ვეხმიანებით ხოლმე. ყაზახეთის ნაკრებმა ხომ ევროპულ სარბიელზე თავისი არსებობის ისტორიაში პირველი ქულები ჩვენგან მიიღო და ახლაც, ყაზახური ფეხბურთის 100 წლისთავზე ჩვენ მივართვით ხონჩით გამარჯვება.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ყაზახეთთან პირველად წავაგეთ

ხუთიდან ოთხი პრიზი

ალექსანდრე კვატაშიძის დოკუმენტური ფილმის პროექტი - Open Doors-ის რჩეული

ია ვეკუა

მართალია, ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალის კონკურსის შედეგები მხოლოდ 17 აგვისტოს გახდება ცნობილი და ფესტივალიც ამ დღეს დაიხურება, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის ლოკარნო უკვე დასრულდა, თანაც წარმატებით - ფესტივალის ფარგლებში ჩატარებულ პროგრამა Open Doors-ის ხუთიდან ოთხი ნომინაციის გამარჯვებული ქართული კინოპროექტებია.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

მკვლელობა ჭალადიდში

ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში მკვლელობა მოხდა. ნათესავებთან სტუმრად მყოფი 38 წლის ილო (ირროდიონ) კაპანაძე მეზობლებმა მდინარე რიონის სანაპიროზე გარდაცვლილი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, ის ადგილობრივმა მცხოვრებმა, 18 წლის რ.ე-მ მდინარეში ჩაახრჩო.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლიციამ რამდენიმე საათში დააკავა. მეზობლების განცხადებით, ეჭვმიტანილს ფსიქიკური პრობლემები აქვს.

„რიონის სანაპიროზე ვიპოვეთ გარდაცვლილი. არავინ არაფერი ვიცით გარდა იმისა, რომ დაპატიმრებულს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა. ალბათ, გამოძიება დაადგენს, რა მოხდა. ილო საჩხერიდან ბებიასთან სტუმრად იყო ჩამოსული. უკონფლიქტო ადამიანი იყო,“ - ჰყვებიან მეზობლები.

მომხდარზე გამოძიებას შსს-ს ხობის მთავარი სამმართველო აწარმოებს.

ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში მოკლული ილო კაპანაძის ოჯახის წევრებმა ცხედრის ექსპერტიზაზე უარი განაცხადეს, რასაც პოლიციასთან მცირე ინციდენტი მოჰყვა. ამის გამო სამართალდამცავებს დამატებითი ძალის გამოძახება დასჭირდათ. მოგვიანებით ცხედარი სამედიცინო ექსპერტიზაზე, ქუთაისის პროზექტურაში გადაასვენეს. შსს-ს ოფიციალური განცხადებით, უწყებამ ილო კაპანაძის მკვლელობა მომხდარიდან ერთ საათში გახსნა.

„შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის და ხობის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული რეზო ე. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2013 წლის 13 აგვისტოს, საღამოს,

ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში ბებიასთან სტუმრად მყოფი 1976 წელს დაბადებული ირროდიონ კაპანაძე გაგუდა და მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ჭაობში გადააგდო. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს სსსკ-ის 108-ე მუხლით,“ - აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

მიხეილ სააკაშვილი აფხაზ ხალხს მიმართავს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აფხაზ ხალხს მიმართავს. აფხაზეთში ომის დაწყების 21 წლისთავთან დაკავშირებით პრეზიდენტი განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„უპირველეს ყოვლისა, ქედს ვიხრი ყველა იმ გმირის წინაშე, ვინც ქვეყნის ერთიანობასა და ნათელ იდეალებს შესწირა თავი. ქედს ვიხრი მათ წინაშე, ვინც უკვე 21 წელია, გმირულად უძლებს ამ დღეს დაწყებული ომის შედეგებს. ქედს ვიხრი მათ წინაშე, ვისაც დღესაც სწამს, რომ ჩვენი ერთობით აღდგება ჩვენი სამშობლოს მთლიანობა!

ჩემო ძვირფასებო, ეს ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის არ დაწყებულა - ეს ომი თავს მოახვიეს ჩვენს ხალხს, ამიტომ ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ - ქართველები და აფხაზები!

აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მომავალი დღეს რუსეთში იწერება. ის დღესაც თამაშობს საზღვრებით და მავთულხლართებით ცდილობს ოკუპირებული ტერიტორიების ფართობის გაზრდას, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეს დროებითია და ყველაფერი შეიცვლება. მათ, უბრალოდ, ერთი მარტივი ჭეშმარიტება ავიწყდებათ - როგორც დღეს მოსდევს ღამე, ისე მოყვება ოკუპაციას დეოკუპაცია. ეს გარდაუვალია, მაგრამ ჩვენი სიყვარული, ძმობა და ერთობა ამ პროცესს კიდევ უფრო დააჩქარებს.

ჩემო აფხაზო ძმებო, დებო და დედებო, ქართველებს და აფხაზებს სხვაგან წასასვლელი არ გვაქვს, ეს ჩვენი საერთო მიწაა და დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ამ უმძიმეს დღეს ვიხსენებთ, ყველაზე მეტად მსურს ვიყო იმედიანად - ჩვენ ისევ ვიქნებით ერთად! ჩვენი შვილები ერთმანეთის მხარდამხარ გაიზრდებიან და ერთად ვიამაყებთ მათი წარმატებით! ჩვენს ხალხებს აქვთ საერთო მომავალი!“ - ნათქვამია მიხეილ სააკაშვილის განცხადებაში.

გიორგი გაბედავას 100-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულ გიორგი გაბედავას სასამართლომ 100-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. გაბედავა საქალაქო სასამართლოს ეზოში მომხდარ ინციდენტში დამნაშავედ ცნეს. მას 126-ე მუხლით, წვრილმან ხულიგნობაში ედებოდა ბრალი. როგორც გაბედავამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, ის აღიარებს, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და აგინებდა ერთ-ერთ პირს, რის გამოც ბოდიშს საზოგადოებას უხდის და არა ამ პირს. გაბედავას ჯარიმის გადასახდელად ერთკვირიანი ვადა განესაზღვრა.

სასამართლო პროცესის პარალელურად, ბაჩო ახალაიას ადვოკატი გიორგი ონიანი დიდი დიღმის პოლიციის განყოფილებაში მოწმის სტატუსით დაკითხეს. მედიით გავრცელებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ურტყამს სახეში გოგა ონიანი გიორგი გაბედავას. ონიანი თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს მე-4 განყოფილებაში ადვოკატ რომეო საჯაიასთან ერთად გამოცხადდა. ონიანმა საქალაქო სასამართლოს ეზოში ახალაიას საწინააღმდეგო აქციის მონაწილეები ადვოკატის საქმიანობისთვის ხელის შეშლაში დაადანაშაულა.

„თუკი მათ სამართლებრივი ნაწილი აინტერესებდათ, შეეძლოთ, პროცესზე ერთი წარმომადგენელი შეეყვანათ და პროცესის მიმდინარეობას დაკვირვებოდნენ, თუმცა ისინი სხვა რამისთვის იყვნენ გამოშვებულები. მათ ხელისუფლებისგან მწვანე შუქი აქვთ ანთებული და სასამართლოში პროვოკაციის მიზნით მოვიდნენ,“ - აცხადებს ონიანი.

მისივე თქმით, სასამართლოს ეზოში დღის განმავლობაში გაბედავასა და კაკაბაძის გუნდის მხრიდან ბაჩო ახალაიას მხარდამჭერების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა ისმოდა, რაც მათ შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. გოგა ონიანმა აღნიშნა, რომ ინციდენტის დროს იგი ფიზიკურად მართლაც შეეხო პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულ გიორგი გაბედავას, თუმცა ეს, მისი თქმით, საპასუხო რეაქცია იყო.

„სასამართლოს ეზოში იმყოფებოდა ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი, რომელმაც განაცხადა, რომ ტროტილითა და ჰექსოგენით გაგვისწორდებოდა. მსგავსი ხასიათის მუქარები დიდი ხანია, ისმის, რაზეც რეაგირება არ არსებობს,“ - განაცხადა გოგა ონიანმა და აღნიშნა, რომ გიორგი გაბედავას საჩივრის საფუძველზე თავად გაბედავას მეგობრების დანაშაული გამოიკვეთა.

„გაბედავამ პოლიციას მიმართა და მოითხოვა პასუხი, რატომ დავარტყი მე მას. თუმცა, მე პოლიციას ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდე, რომლის საფუძველზეც გაბედავას მეგობრების დანაშაული გამოიკვეთა, შესაბამისად, მათ პასუხისგება მოუწევთ იმ დანაშაულზე, რომელიც საქალაქო სასამართლოში ჩაიდინეს,“ - ამბობს ონიანი და აღნიშნავს, რომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის საფუძველზე მიმდინარეობს.

„გაბედავას საჩივრის საფუძველზე პოლიციამ ჩვენგან მიიღო რეალური ინფორმაცია იმ დანაშაულზე, რომელშიც გაბედავა და მისი მეგობრები მონაწილეობდნენ. პოლიციას უკვე გააჩნია სრული ინფორმაცია და ჩემი დაკითხვის შემდეგ პოლიციას მოუწევს, ამ დანაშაულების ირგვლივ იმსჯელოს,“ - დასძინა ადვოკატმა.

გუშინვე გიორგი გაბედავას დაკავების ფაქტი არასამთავრობო ორგანიზაციის «ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ გააპროტესტა. როგორც ნანა კაკაბაძემ „პირველი რადიოს“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ხელისუფლება შერჩევითი სამართლის პრინციპით ხელმძღვანელობს. ამასთან, კაკაბაძის შეფასებით, ახალმა ხელისუფლებამ წინასაარჩევნო დაპირებები ვერ გაამართლა და მოსახლეობას იმედები გაუცრუა.

ხელისუფლება შერჩევითი სამართლის პრინციპით ხელმძღვანელობს. გამომჟღავნდა მათი ახალი უსუსურობა, რამაც საზოგადოებაში დატოვა იმის განცდა, რომ ხელისუფლება საკმაოდ სუსტია. მათ მოსახლეობის იმედები ვერ გაამართლეს და დღემდე, სამართლიანობის აღდგენის დაპირების გარდა, სხვა წინასაარჩევნო დაპირებებიც შეუსრულებელია,“ - განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

ცნობისათვის - 13 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში განვითარებული მოვლენების შედეგად გიორგი გაბედავა ინციდენტის ადგილზე დააკავეს. სამართალდამცავებმა ასევე დააკავეს კიდევ ორი პირი - ყოფილი პოლიტპატიმარი ფრიდონ მერებაშვილი და «თავისუფალი ზონის“ წევრი ონისე გერგედავა. გერგედავა ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. მისი სასამართლო პროცესი რამდენიმე დღეში გაიმართება. ასევე ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს გიორგი გაბედავა.

ინციდენტი ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მოხდა. პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოსთან შეკრებილები იყვნენ ნანა კაკაბაძის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ და კიდევ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული გიორგი გაბედავა. მას შემდეგ, რაც დამსწრეები სასამართლოს ეზოში გავიდნენ, მათ ახალაიას მოწინააღმდეგეები სტვენით დახვდნენ, ამან კი მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება გამოიწვია. მოხდა ფიზიკური დაპირისპირებაც. გიორგი გაბედავას თქმით, მას ახალაიას ერთ-ერთმა ადვოკატმა გიორგი ონიანმა დაარტყა, თუმცა პოლიციელებმა ონიანის ნაცვლად თავად დააკავეს.

რაც შეეხება ბაჩო ახალაიას პროცესს, ე.წ. შვიდი სპეცრაზმელის წამების საქმეზე თავდაცვის ყოფილი მინისტრისა და მასთან ერთად ბრალდებულების განაჩენი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. საქმის განხილვა სრულად დამთავრებულია. მოსამართლემ განხილვების დასრულების შემდეგ გადაწყვეტილების მისაღებად რამდენიმე დღე ითხოვა. როგორც მოსამართლე დავით მგელიაშვილმა პროცესზე განაცხადა, მხარეებს გადაწყვეტილების მიღების ზუსტ თარიღს ერთი დღით ადრე შეატყობინებს. პროცესზე ადვოკატებმა და ბრალდებულებმა დასკვნითი სიტყვები წარმოთქვეს.

„წარმოდგენილი ბრალდება რეალობასთან ახლოს რომ ყოფილიყო, ვაღიარებდი და ამ ბიჭებს შარში არ გავხვევდი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის პირები, ვინც ამ საქმეში დაზარალებულად არიან ცნობილი, არიან ადამიანები, რომლებიც არც ახლანდელ ხელმძღვანელობას და არც არავის არაფერში გამოადგება. როგორც კი სასამართლო დამთავრდება, მათ საერთოდ არ ექნებათ არანაირი ფუნქცია. რაც შეეხება ჩემთან ერთად ბრალდებულებს, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ყველაზე წარმატებული სამხედროები არიან საქართველოში. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ბრალდებული ბიჭები ყველაზე წარმატებული სამხედროები არიან და ისინი საბრალდებო სკამზე მხოლოდ ჩემ გამო სხედან,“ - განაცხადა ბაჩო ახალაიამ.

საჯარო სამსახურში დაგეგმილი ცვლილებები

გუშინ მთავრობის კანცელარიაში საჯარო სამსახურის რეფორმირების კონცეფციის შემმუშავებელი საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. საბჭოს მთავრობის კანცელარიის უფროსი მაია ცქიტიშვილი ხელმძღვანელობს, ხოლო იუსტიციის მინისტრის მოადგილე სანდრო ბარამიძე და პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე ირინა იმერლიშვილი თანათავმჯდომარეები არიან.

საკოორდინაციო საბჭო ივლისში მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა და მასში სამინისტროები მინისტრის მოადგილის რანგში არიან წარმოდგენილნი. საბჭოს მუშაობაში ასევე მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გარდა ამისა, სხდომაზე კონცეფციის პროექტის პრეზენტაციით USAID-ის წარმომადგენელი მარის მიკელსონი გამოვიდა.

შეხვედრის მონაწილეები ამბობენ, რომ კონცეფციაზე მუშაობა წლის ბოლოს დასრულდება. მაია ცქიტიშვილის თქმით, საქართველოს მთავრობის პროგრამის თანახმად, ქვეყანაში პროფესიული სამსახურის ჩამოყალიბებაა დაგეგმილი, რომელიც პროფესიულ ზრდასა და სტაბილურობაზე იქნება დამყარებული. **„საჯარო სამსახური პოლიტიკურ ცვლილებებსა და საარჩევნო პროცესებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული,“** - ამბობს ცქიტიშვილი.

შეხვედრის შემდეგ ირინა იმერლიშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ საჯარო სამსახურის რეფორმაზე მომუშავე საბჭო მთავარ პრინციპზე შეთანხმდა - საჯარო სამსახურში თანამშრომლებს არა კონტრაქტით, არამედ უვადოდ აიყვანენ. როგორც იმერლიშვილი ამბობს, საჯარო სამსახურში კარიერული დაწინაურების სისტემის ჩამოყალიბება იგეგმება. იმერლიშვილის ვარაუდით, საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობა მთლიანად სახელმწიფო სამსახურს მოერგება და სახელმწიფო ამ მიმართულებით პოლიტიკას შეიმუშავებს. **„წინა მოწვევის პარლამენტში ამ კოდექსის საბოლოო ვერსია მოამზადეს, თუმცა შემდეგ პარლამენტი და მთავრობა ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ კანცელარიაში საბჭოს ჩამოყალიბება გახდა საჭირო,“** - დასძენს ირინა იმერლიშვილი.

სანდრო ბარამიძის ვარაუდით, შესწორებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შევა ან ცვლილებების მასშტაბურობიდან გამომდინარე, პარლამენტი ახალ კანონს მიიღებს. **„ხელისუფლების მიზანი სტაბილური, ეფექტური და პროფესიული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებაა,“** - თქვა ბარამიძემ.

საბჭოს შეხვედრები სექტემბრიდან რეგულარულ ხასიათს მიიღებს.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

ჩაშლილ შეხვედრაზე პასუხისმგებლობას ბაქრაძეს აკისრებენ

მაგდა ლეკიაშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დავით ბაქრაძესთან შეხვედრა გააუქმა. პასუხისმგებლობა კი სრულად „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატს დააკისრა.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე სასაუბროდ ეკონომიკის მინისტრსა და პრეზიდენტობის კანდიდატ დავით ბაქრაძეს შორის შეხვედრა მიმდინარე კვირას უნდა გამართულიყო. თუმცა აღნიშნული შეხვედრა მინისტრის გადაწყვეტილებით გაუქმებულია. კვირიკაშილმა მთავარ მოტივად ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადება დაასახელა.

„ცოტა ხნის წინ თანხმობა განვაცხადე დავით ბაქრაძესთან შეხვედრაზე ქვეყანაში ეკონომიკის მიმდინარე საკითხებზე სასაუბროდ. სიტყვიერი შეთანხმებაც მქონდა, რომ შეხვედრა ოთხშაბათს ან ხუთშაბათს უნდა შემდგარიყო. შევთანხმდით, რომ შეხვედრა ხუთშაბათს 13:00 საათზე გაიმართებოდა. ამის შემდეგ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ვაშაძემ სატელევიზიო განცხადება გააკეთა, სადაც კიდევ ერთხელ დახატა ქვეყანაში აპოკალიპტური სურათი და თქვა, რომ თურმე ეკონომიკის მინისტრი ვერ იცლის, რათა ნაციონალური მოძრაობისგან რჩევა მიიღოს. ვაშაძის განცხადებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ეს შეხვედრა განიხილებოდა მხოლოდ და მხოლოდ როგორც წინასაარჩევნო პიარის ნაწილი და არა - რეალური სურვილი დიალოგისა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე დათქმულ შეხვედრას ვაუქმებ და აღნიშნულის გამო მთელ პასუხისმგებლობას დავით ბაქრაძეს და ნაციონალურ მოძრაობას ვაკისრებ,“ - განაცხადა კვირიკაშვილმა. მინისტრს ისიც ჰქონდა გაცნობიერებული, რომ შეხვედრიდან დადებითი შედეგის მოტანის ალბათობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლი იყო. კვირიკაშვილის თქმით, დავით ბაქრაძე პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და «ნაციონალური მოძრაობის» ერთ-ერთი ლიდერია. ეს უკანასკნელი კი ის პოლიტიკური ძალაა, რომლის ხელმძღვანელობითაც წლების განმავლობაში ქვეყანაში ეკონომიკის არასწორი მართვა, ბიზნესმენების ტერორი და კანონიერი ქონების წართმევა გრძელდებოდა. ბაქრაძე იყო იმ პარლამენტის თავმჯდომარეც, რომელმაც მხარი დაუჭირა სპეციალურად შექმნილ კანონს ერთი კონკრეტული ბანკის განადგურებაზე. წლების განმავლობაში აღნიშნული ბანკის გენერალური დირექტორი კი გიორგი კვირიკაშვილი იყო.

„ის იყო იმ ხელისუფლების ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც გაზრდილი საგარეო ვალის ხარჯზე ქმნიდა ეკონომიკის არარეალური ზრდის ილუზიას. ახლა გაუჩნდათ სურვილი, გვასწავლონ, თუ რა ეკონომიკური პოლიტიკით უნდა განვითარდეს ქვეყანა, იმ დროს, როდესაც ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა ძველ მემკვიდრეობას გაუმკლავდეს და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს რეალურად თავისუფალი ბიზნესის განვითარებას. მე მაინც მივიჩნიე, რომ ვინაიდან ეკონომიკის მინისტრი ვარ, არავითარი შემთხვევაში არ უნდა მეთქვა უარი ამ შეხვედრაზე,“ - ამბობს კვირიკაშვილი.

შეხვედრის გაუქმებას გაბუტვად მიიღეს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“. პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ ეკონომიკურ საკითხებზე საუბრის ნაცვლად, მინისტრმა ძველი საქმეები გაიხსენა. ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, როგორც ჩანს, კვირიკაშვილსა და ხადურს არ ახსოვთ, რომ 2003 წელს „ნაციონალურ მოძრაობას ვაკისრებ,“ - განაცხადა კვირიკაშვილმა. მინისტრს ისიც ჰქონდა გაცნობიერებული, რომ შეხვედრიდან დადებითი შედეგის მოტანის ალბათობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლი იყო. კვირიკაშვილის თქმით, დავით ბაქრაძე პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და «ნაციონალური მოძრაობის» ერთ-ერთი ლიდერია. ეს უკანასკნელი კი ის პოლიტიკური ძალაა, რომლის ხელმძღვანელობითაც წლების განმავლობაში ქვეყანაში ეკონომიკის არასწორი მართვა, ბიზნესმენების ტერორი და კანონიერი ქონების წართმევა გრძელდებოდა. ბაქრაძე იყო იმ პარლამენტის თავმჯდომარეც, რომელმაც მხარი დაუჭირა სპეციალურად შექმნილ კანონს ერთი კონკრეტული ბანკის განადგურებაზე. წლების განმავლობაში აღნიშნული ბანკის გენერალური დირექტორი კი გიორგი კვირიკაშვილი იყო.

„ის იყო იმ ხელისუფლების ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც გაზრდილი საგარეო ვალის ხარჯზე ქმნიდა ეკონომიკის არარეალური ზრდის ილუზიას. ახლა გაუჩნდათ სურვილი, გვასწავლონ, თუ რა ეკონომიკური პოლიტიკით უნდა განვითარდეს ქვეყანა, იმ დროს, როდესაც ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა ძველ მემკვიდრეობას გაუმკლავდეს და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს რეალურად თავისუფალი ბიზნესის განვითარებას. მე მაინც მივიჩნიე, რომ ვინაიდან ეკონომიკის მინისტრი ვარ, არავითარი შემთხვევაში არ უნდა მეთქვა უარი ამ შეხვედრაზე,“ - ამბობს კვირიკაშვილი.

შეხვედრის გაუქმებას გაბუტვად მიიღეს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“. პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ ეკონომიკურ საკითხებზე საუბრის ნაცვლად, მინისტრმა ძველი საქმეები გაიხსენა. ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, როგორც ჩანს, კვირიკაშვილსა და ხადურს არ ახსოვთ, რომ 2003 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩაიბარა ქვეყანა, სადაც პენსია 14 ლარი იყო, ხელფასები თვეობით არ რიგდებოდა და ქვეყნას ჰქონდა ბიუჯეტი, რომელიც არასდროს ივსებოდა.

„მათ ჩაიბარეს 9-მილიარდიანი ბიუჯეტი. რას ჩააბარებენ შემდეგ მთავრობას, მაგასაც ვნახავთ. ტყულია, როდესაც საუბრობენ რაღაც ვალებზე. ეს საშინელი ტყულია და ძალიან მიკვირს, ისეთი კვალიფიკაციის ეკონომისტი, როგორიც კვირიკაშვილია, ასეთ ტყუილს რომ ამბობს. დაბალი კვალიფიკაციის ეკონომისტიც კი ვერ ილაპარაკებს ასე საქართველოს საგარეო ვალებზე. სამწუხაროა, რომ კვირიკაშვილი პოლიტიკურ პიარს აჰყვა და მთავრობის კანცელარიაში დაწერილი მესიჯებით უპასუხა უმცირესობის ლიდერის შეთავაზებას,“ - განაცხადა მაჭავარიანმა.

მინისტრის განაწყენება მოულოდნელი აღმოჩნდა უმცირესობის კიდევ ერთი დეპუტატის ირმა ნადირაშვილისთვის. ჟურნალისტებთან საუბრისას ნადირაშვილმა განაცხადა, რომ შეხვედრა ეკონომიკის შემდგომი გაჯანსაღებისთვის იგეგმებოდა. თუმცა, ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ეკონომიკის მინისტრს ერთადერთი თემა აინტერესებს და ისევ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებზე და „ქართუ ბანკის“ გაკოტრებაზე საუბრობს.

„არ მესმის, რა იყო საწყენი ვაშაძის განცხადებაში, რადგან მან ძალიან პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემები მოიყვანა, რომლებიც იმავეს ადასტურებს, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ყოველდღე ამბობს, რომ საქართველოს ეკონომიკაში ზრდა არ არის და ის მინუსში გადავიდა. ეს არ არის ჩვენი სიტყვები, ეს არის ციფრებით დადასტურებული მონაცემები. ჩვენც რომ არ ვილაპარაკოთ ამაზე, ამას ადამიანები საკუთარ თავზე გრძნობენ, რადგან მარტო სამ თვეში 42 000 სამუშაო ადგილი დაიკარგა და ძალიან ბევრი საწარმო დაიხურა,“ - ამბობს ნადირაშვილი.

ცნობისათვის - შეხვედრის ჩაშლის მიზეზი გიორგი ვაშაძის განცხადება გახდა. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა და „Standard and Poor“-ის ანგარიშს გამოეხმაურა. დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2013 წელს 3.5 პროცენტი იქნება. ვაშაძის თქმით, საქართველოს ეკონომიკის მძიმე ვითარება მუდმივად უარესდება. კვლევის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მთავრობა კონკრეტული ქმედითი და სწორი ნაბიჯების გადადგმას დაიწყებს (რისი ნიშნებიც არ ჩანს), წელს საქართველოს ეკონომიკა მხოლოდ 3.5 პროცენტით თუ გაიზრდება, ნაცვლად დაგეგმილი 6 პროცენტისა, ხოლო მომავალ წელს - 5 პროცენტით.

„ეკონომიკის უკუსვლის მიზეზად ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური გარემო სახელდება, მათ შორის, პოლიტიკურად მოტივირებული დაპატიმრებები და პოლიტიკური ოპონენტების დევნა. ნეგატიურ ტენდენციებს ასევე იწვევს ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელოვანი შენელება, ეკონომიკისთვის საზიანო პოპულისტური და გაუაზრებელი განცხადებები, რომელთაც ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად აკეთებენ და მთავრობის მიერ შემოღებული ხისტი რეგულაციები. კარგად გვახსოვს, როგორ იქცა თითქოსდა დასაქმებულთა უფლებების დაცვისკენ მომართული „შრომის კოდექსი“ უმუშევრობის მაპროვოცირებელ კოდექსად. უდავოა, რომ აღნიშნული საგანგაშო ტენდენციების გაგრძელება საქართველოს საკრედიტო რეიტინგის დაწევას გამოიწვევს. საკრედიტო რეიტინგის დაწევის შედეგად მნიშვნელოვნად დაიკლებს ინვესტიციები, რაც უმუშევრობის ზრდის არსებულ ტენდენციას კიდევ უფრო გაამწვავებს,“ - განაცხადა ვაშაძემ.

კობა დავითაშვილს ფრაქციის შექმნა სურს

„ხალხის პარტიის“ ლიდერ კობა დავითაშვილს, რომელიც პარლამენტში უფრაქციო დეპუტატის სტატუსით საქმიანობს, ახალი ფრაქციის ჩამოყალიბების სურვილი აქვს. თუმცა, როგორც დავითაშვილმა „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში ჟურნალისტებს უთხრა, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, ვინ გაერთიანდება მის ფრაქციაში. **„ფრაქცია დავტოვე, უმრავლესობას განცხადებით 6 აგვისტოს მივმართე. ავტომატურად დავტოვე ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტიც. ფრაქციიდან გასვლა კომიტეტებიდან გასვლასაც გულისხმობს. დამოუკიდებელი დეპუტატი ვარ, რომელიმე ფრაქციაში შესვლას არ ვგეგმავ, განსაკუთრებით კი - როგორც მოქმედ, ისე ყოფილ „ნაციონალებთან“,** - თქვა კობა დავითაშვილმა.

დავითაშვილი ამბობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება სწორედ ფრაქციის შექმნას უკავშირდება. **„ჩემი პროგრამა მინიმუმი ისეთი შედეგის დადებაა, რომელიც პარლამენტში მემარცხენე-ცენტრისტული ოპოზიციური ფრაქციის ჩამოყალიბების საშუალებას მომცემს,“** - ამბობს კობა დავითაშვილი.

დავითაშვილის პროგრამა მაქსიმუმი კი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გასვლაა, რაც, მისი შეფასებით, სუსტი სახელისუფლებო კანდიდატის ფონზე სავსებით რეალურია. **„პიროვნულ თვისებებს არ ვეხები, მაგრამ გიორგი მარგველაშვილს საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი, უბრალოდ, არ იცნობს, არ იცის ვინ არის და ეს ცუდი საფუძველია იმისთვის, რომ ხმების ნახევარზე მეტი მოიპოვო. მეორე ტურის ალბათობა ძალიან მაღალია,“** - აღნიშნავს დავითაშვილი.

კობა დავითაშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის შესახებ დასმულ კითხვასაც პასუხობს, რომელიც, ერთ-ერთი ვერსიით, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს. **„ხარატიშვილს ეჭვმიტანილად განვიხილავ, კონკურენტად - არა. პირველი ოქტომბრის არჩევნები ისევე გაყალბდა, როგორც სხვა არჩევნები; უბრალოდ, გაყალბება იმდენად მასშტაბური არ იყო. ხმები ხალხმა დაიცვა და არა ხარატიშვილმა. თუმცა, გაუგებარია, ასეთი პროკურატურის პირობებში რატომ ეშინია ხარატიშვილს დაჭერის,“** - თქვა დავითაშვილმა.

პარლამენტარი მედიას ხარატიშვილის გადადგომის მისეულ ვერსიასაც აცნობს. დავითაშვილს მიაჩნია, რომ ზურაბ ხარატიშვილი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობს. **„მისი ამოცანა ის არის, რომ არ დაიჭირონ. ხარატიშვილი და მისი წინამორბედები, არჩევნების გამყალბებლები, დასაჭერი არიან,“** - ამბობს ხარატიშვილი.

რაც შეეხება ხარატიშვილის მიერ პოლიტიკური პარტიის შესაძლო ჩამოყალიბებას, ამ მოსაზრებას დავითაშვილი არასერიოზულად აღიქვამს. **„ვინ იქნებიან ზურაბ ხარატიშვილის პარტიის პოლიტსაბჭოს წევრები - ხათუნა გოგორიშვილი და ლევან თარხნიშვილი და პარტიას „სამართლიანი არჩევნები“ ერქმევა?!“** - ამბობს კობა დავთიაშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

რიჩარდ ნორლანდი - ჩვენ მხარს ვუჭერთ პრინციპებს და არა - პიროვნებებს

ჩვენ მხარს ვუჭერთ პრინციპებს და არა - პიროვნებებს, - ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა.

ელჩი გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში ბათუმში, ამერიკულ ხომალდზე გამართულ ღონისძიებას გამოეხმაურა და ეს ვიზიტი წარმატებულად შეაფასა.

„ჩვენ ნამდვილად ვამაყობთ ბათუმში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდის სტუმრობით, რომლის გემბანზე გამართულ მიღებას დაესწრო როგორც პრეზიდენტი, ასევე პრემიერი. ჩვენ მხარს ვუჭერთ პრინციპებს და არა - პიროვნებებს,“ - აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

მისივე შეფასებით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოში წარმოქმნილი კონფლიქტების მოგვარების საშუალებად მშვიდობიანი გზა განიხილებოდეს და მნიშვნელოვანია ისიც, რომ საუბრები დიპლომატიური მოლაპარაკებების ფორმატში წარიმართოს, რათა გადაწყვეტილებები მოიძებნოს. ჟენევის მოლაპარაკებები კი, როგორც ნორლანდმა აღნიშნა, ერთ-ერთი ფორმატია.

ელჩის განაცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ დემოკრატიის სტანდარტების უმაღლეს დონეს მიაღწიოს.

„ჩვენი თვალსაზრისით, ეს იყო წარმატებული ვიზიტი,“ - დასძინა რიჩარდ ნორლანდმა.

ათენში ინტერპოლის მიერ ძებნილი დავით ჩხიტუნიძე დააკავეს

შს სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის ინტერპოლის მოთხოვნის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკაში გაფრენის მცდელობის დროს საბერძნეთში, ქალაქ ათენის აეროპორტში საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი, 1974 წელს დაბადებული დავით ჩხიტუნიძე დააკავეს.

დავით ჩხიტუნიძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ორ ეპიზოდად) და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას.

დავით ჩხიტუნიძემ, ეკავა რა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობა, უკანონოდ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე არაერთხელ მოახდინა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მსჯავრდებული გერონტი ალანიას რამდენიმე დღით უკანონო გამოყვანა, ხოლო 2008 წლის 11 აგვისტოს დ.ჩხიტუნიძემ დოკუმენტების გარეშე, სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე, სასჯელაღსრულების N10 დაწესებულებიდან 14 დღის ვადით უკანონოდ გამოიყვანა ოთხი მსჯავრდებული: გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე.

დავით ჩხიტუნიძის მიმართ თბილისის ინტერპოლის მოთხოვნის საფუძველზე ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ მიმდინარე წლის 9 აგვისტოს გამოაცხადა საერთაშორისო ძებნა წითელი ცირკულარით.

მიმდინარე წლის 14 აგვისტოს დაკავებულს შეეფარდა წინა საექსტრადიციო პატიმრობა და მის მიმართ ამჟამად მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული პროცედურები.

გირგვლიანის საქმეზე ბრალდებული დავით ჩხიტუნიძე საბერძნეთში არა შსს-ს მოთხოვნის საფუძველზე, არამედ ვადაგადაცილებული დიპლომატიური პასპორტის გამო დააკავეს, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ჩხიტუნიძის ადვოკატმა, ვახტანგ თალაკვაძემ განუცხადა.

ადვოკატის მტკიცებით, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ყოფილი მოადგილე საქართველოში დაბრუნებას და გამოძიებისთვის ჩვენებების მიცემას გეგმავდა, რა დროსაც გაუქმებული დიპლომატიური პასპორტის გამო დააკავეს.

ვახტანგ თალაკვაძის თქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩხიტუნიძე ძებნილად გამოცხადებული ჰყავდა, თუმცა ოფიციალური დოკუმენტაცია, სავარაუდოდ, არ დაუგზავნია.

„დავით ჩხიტუნიძე საბერძნეთის პოლიციამ იმიტომ დააკავა, რომ მას ძველი დიპლომატიური პასპორტი ჰქონდა. მას თბილისში უნდოდა წამოსვლა გამოძიებისათვის ჩვენებების მიცემის მიზნით. იგი ვადაგადაცილებული პასპორტის გამო, ერთი თვით დააპატიმრეს, ერთი თვის შემდეგ ან გადმოგვცემენ, ან არა. იგი კიევში დიპლომატიურ სამსახურში იყო და ალბათ ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ პასპორტის მოქმედება გააუქმა“, - განაცხადა ვახტანგ თალაკვაძემ.

ამასთან, ადვოკატის განმარტებით, ჩხიტუნიძის ექსტრადიციის საკითხი საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უნდა დააყენოს.

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ყოფილ მოადგილეს დავით ჩხიტუნიძეს ბრალი დაახლოებით ერთი თვის წინ, თბილისის პროკურატურაში სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით წაუყენეს, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. რაც შეეხება ეპიზოდს, ჩხიტუნიძეს ბრალად ედება გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებული ყოფილი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ციხეში პრივილეგირებულად ყოფნაში ხელშეწყობა.

ბრალდების მიხედვით, ჩხიტუნიძემ უკანონოდ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მსჯავრდებული გერონტი ალანიას რამდენიმე დღით უკანონოდ არაერთხელ გამოიყვანა, ხოლო 2008 წლის 11 აგვისტოს დ. ჩხიტუნიძემ დოკუმენტების გარეშე, სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე, სასჯელაღსრულების N10 დაწესებულებიდან 14 დღის ვადით უკანონოდ გამოიყვანა ოთხი მსჯავრდებული: გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით.

ასობით დაღუპული ეგვიპტეში კარვების ქალაქების აღებისას

პირველი გვერდიდან

მანამდე, წინა კვირაში, წარუმატებლად დამთავრდა ხელისუფლებასა და ექს-პრეზიდენტის მომხრეებს შორის მოლაპარაკებები უცხოელი შუამავლების მონაწილეობით, რაზეც ჩვენ უკვე ვწერდით. ხელისუფლება, დაახლოებით, 10 დღეა, საპროტესტო აქციები დაშლას მოითხოვდა და წინააღმდეგ შემთხვევაში ამის ძალით გაკეთებით იმუქრებოდა.

კაიროში «მუსლიმანი ძმების» ორი ბანაკი იყო - მეჩეთ რაბაა ალ-ადავიას მიმდებარე მოედანზე და მოედან „ნაჰდაზე“, კაიროს უნივერსიტეტის მახლობლად. ცენტრალური მოედანი თაჰრირი კვლავ რევოლუციონერებს ანუ დროებითი ხელისუფლების მომხრეებს უკავიათ. ოთხშაბათს, გამთენიისას, ხელისუფლებამ ჯერ „მუსლიმანი ძმების“ მომხრეთა მარში არ გაატარა ქუჩებში, შემდეგ კი ბანაკების აღებას შეუდგა, თუმცა აქ სერიოზულ წინააღმდეგობას გადააწყდა.

ბანაკების აღება პოლიციის ძალებითა და ბულდოზერებით სცადეს, არმიას ამაში მონაწილეობა არ მიუღია. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ხელისუფლების მტკიცებით, სროლა დაიწყეს კარვების ქალაქების მხრიდან, ასევე სახლების სახურავებზე მყოფმა „მუსლიმანი ძმების“ მომხრე სნაიპერებმა. როგორც ჩანს, საბოლოოდ იარაღი პოლიციამაც გამოიყენა, რადგან, სხვა შემთხვევაში, ამდენი მოკლული და დაჭრილი არ იქნებოდა.

მხარეების მიერ მსხვერპლის შესახებ გავრცელებული მონაცემები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. „მუსლიმანი ძმები“ ასობით მოკლულსა და უფრო მეტ დაჭრილზე საუბრობდნენ. ხელისუფლება დღის პირველ ნახევარში აცხადებდა, რომ მათი მონაცემებით მოკლული იყო 56 კაცი, აქედან 6 პოლიციელი. უცხოელმა ჟურნალისტებმა პროზექტურებში, დაახლოებით, 140 ცხედარი დათვალეს. გვიან საღამოს გამოქვეყნებულ ოფიციალურ მონაცემებში კი ციფრები გაზრდილი იყო: 149 მოკლული და 1403 დაჭრილი.

მოკლულია „მუსლიმანი ძმების“ ერთ-ერთი ლიდერის მოჰამედ ბელტაგის 17 წლის ქალიშვილი. მისი ძმის სიტყვებით, ასმაა ალ-ბელტაგი დაიჭრა მკერდშიც და ზურგშიც. დაიღუპა ბრიტანული ტელეარხის „სკაი ნიუსის“ ოპერატორი, 61 წლის მიკ დინი. გადამღები ჯგუფის სხვა წევრები არ დაშავებულან.

საღამოსთვის პოლიციამ ერთი ბანაკის მთლიანად აღება მოახერხა, მეორე კი წინააღმდეგობას გვიანობამდე აგრძელებდა. კაიროს ცენტრალური ქუჩები გადაკეტილი აქვთ, ერთი მხრივ, პოლიციას, მეორე მხრივ კი „მუსლიმანი ძმების“ მომხრეებს.

შეტაკებები ეგვიპტის სხვა ქალაქებშიც მიმდინარეობდა, განსაკუთრებით მწვავე მინიეში და ასიუტეში, ასევე ალექსანდრიასა და სხვა ქალაქებში. ეგვიპტის ცენტრში, რამდენიმე პროვინციაში „მუსლიმანი ძმების“ მომხრეები თავს დაესხნენ ქრისტიანულ ეკლესიებს კოპტების კომპაქტურ დასახლებებში. ისინი ეგვიპტელ ქრისტიანებს გარკვეული თვალსაზრისით „დამნაშავეებად“ მიიჩნევენ მოვლენების ასეთ განვითარებასა და მურსის ჩამოგდებაში.

გუშინ, გვიან საღამოს, ეგვიპტის დროებითმა ხელისუფლებამ 27-დან 11 პროვინციაში ერთი თვის ვადით საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. გამოცხადებულია კომენდანტის საათიც.

ოთხშაბათს საღამოს თანამდებობიდან გადადგა ვიცე-პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში მუჰამედ ელ-ბარადეი. „ბი-ბი-სიმ“ მისი განცხადება ელექტრონული ფოსტით მიიღო, რომელშიც წერს, რომ არ სურს პასუხისმგებლობის აღება იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც არ ეთანხმება და რომელთა შედეგებიც აშფოთებს. არ შეუძლია პასუხისმგებლობის აღება არც ერთ წვეთ სისხლზე. მისი აზრით, კონსენსუსის მიღწევის მშვიდობიანი ალტერნატივა კიდევ რჩებოდა.

ეგვიპტეში ეს დაძაბულობა უცებ არ ჩაცხრება და ჩვენ მას თვალს ისევ მივადევნებთ.

პუტინის „წინასაარჩევნო„ ვიზიტი აზერბაიჯანში

პირველი გვერდიდან

რუსი ექსპერტების ნაწილმა აზერბაიჯანში პუტინის ვიზიტს ჯერ კიდევ მოლაპარაკებების დღის წესრიგის გამოქვეყნებამდე უწოდა „სააგიტაციო მოგზაურობა“. საბოლოოდ, ცხადია, პრეზიდენტები მხოლოდ პროტოკოლური ღონისძიებებით არ შემოფარგლულან, თუმცა მაინც ბევრის თვალში ეს იყო პუტინის მხრიდან ილჰამ ალიევის მიმართ აშკარად გამოხატული მხარდაჭერა ოქტომბერში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ილჰამ ალიევი უკვე მესამედ იყრის კენჭს და მას ამის უფლება 2009 წელს მიღებულმა საკონსტიტუციო შესწორებამ მისცა.

ვიზიტამდე ზოგ ექსპერტს და აზერბაიჯანში ხალხის ნაწილსაც ჰქონდა ეჭვი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთი მხარს უჭერს ოპოზიციას, კერძოდ ოპოზიციის ერთიან კანდიდატად დასახელებულ რუსტამ იბრაგიმბეკოვს. ამ უკანასკნელმა თითქმის მთელი ცხოვრება რუსეთში გაატარა. აზერბაიჯანის პოლიტიკური სპექტრი კი იბრაგიმბეკოვს რუსეთში მოღვაწე აზერბაიჯანელი მილიარდერების მიერ „შეგზავნილ“ კანდიდატს უწოდებს. სწორედ აქედან გამომდინარე ლაპარაკობდნენ რუსეთის მიერ მის შესაძლო მხარდაჭერაზე, თორემ რუსეთი არანაირად არ არის განწყობილი თვით აზერბაიჯანში მოქმედი ოპოზიციის მხარდასაჭერად, რადგან ეს პოლიტიკური ძალები ილჰამ ალიევზე უფრო პროდასავლურები არიან. თუმცა გუშინწინდელი ვიზიტით პუტინმა ამ ვარაუდებს წერტილი დაუსვა. მან ილჰამ ალიევის მხარდაჭერა ღიად გამოხატა.

როგორც ვახსენეთ, პუტინს დიდი ამალა ახლდა თან: საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრ ნოვაკი, საგანგებო სიტუაციების მინისტრი ვლადიმირ პუჩკოვი, ტრანსპორტის მინისტრი მაქსიმ სოკოლოვი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალეკსეი ულიუკაევი, „როსობორონექსპორტის“ გენერალური დირექტორი ისაიკინი, რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი კასპიის ზღვის გარშემო მიმდინარე მრავალმხრივ მოლაპარაკებებში იგორ ბრატჩიკოვი, „როსნეფტის“ ხელმძღვანელი იგორ სეჩინი, „ლუკოილის“ ხელმძღვანელი ვაგიტ ალეკპეროვი და სხვები. ვიზიტისას ხელი მოეწერა რამდენიმე ხელშეკრულებას, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს სამი: 1) მხარეები შეთანხმდნენ ხიდის აგებაზე ორი სახელმწიფოს საზღვარზე. ეს ხიდი აშენდება საკონტროლო-გამშვები პუნქტების „იარაგ-კაზმალიარის“ და „სამურის“ რაიონში, სასაზღვრო მდინარე სამურზე; 2) რუსეთის და აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების სამინისტროებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ, რაც გულისხმობს ერთობლივ საავიაციო ძებნას და სამაშველო ოპერაციებს, ასევე სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციაში თანამშრომლობას 2013-1015 წლებში. ამას გარდა რუსეთი აზერბაიჯანს საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მუშაობის გაუმჯობესებაში დაეხმარება; 3) „როსნეფტსა“ და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ ნავთობისა და გაზის მოპოვების სფეროში. უფრო კონკრეტულად, საქმე ეხება რუსული კომპანიის წილობრივ მონაწილეობას შაჰდენიზის საბადოს ათვისების მეორე ეტაპზე.

მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებაზე, თუმცა ამჯერად იარაღის შესყიდვის შესახებ კონკრეტული კონტრაქტისთვის ხელი არ მოუწერიათ. შემდეგ ბრიფინგზე ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანი რუსული იარაღის ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველია. ეს თანამშრომლობა, დაახლოებით, 4 მილიარდი დოლარით არის შეფასებული და ზრდის ტენდენცია აქვს.

მხარეებმა იმსჯელეს ორმხრივი ურთიერთობის, ფაქტობრივად, ყველა საკითხზე, შეეხნენ რთულ რეგიონულ პოლიტიკურ თემებსაც, თუმცა კონკრეტული შედეგის გარეშე. ამ სფეროში, ცხადია, მთავარი იყო მთიანი ყარაბაღისა და კასპიის ზღვის სტატუსის საკითხები. ამ საკითხებზე მხარეებმა უაღრესად ფრთხილი და ზოგადი განცხადებები გააკეთეს, რადგან მათი გადაწყვეტა ჯერ საკმაოდ შორს არის. პრეზიდენტები თავიდან ერთობლივ პრესკონფერენციას გეგმავდნენ, თუმცა შემდეგ, ალბათ მწვავე პოლიტიკური კითხვების თავიდან აცილების მიზნით, მხოლოდ განცხადებები გაკეთდა პრესისთვის. ყარაბაღის და კასპიის ზღვის თემების დამთავრების შემდეგ პრეზიდენტები პუტინი და ალიევი, ფაქტობრივად, ერთმანეთს ხოტბას ასხამდნენ და ორმხრივი თანამშრომობის და სავაჭრო ტვირთბრუნვის წარმატებებზე საუბრობდნენ.

ვიზიტი დამთავრდა ორ პრეზიდენტს შორის არაფორმალური საუბრით ალიევის სახლში, სადაც მან პუტინი ჩაიზე მიიწვია.

მუმბაის პორტში რუსული წარმოების წყალქვეშა ნავი აფეთქდა

პირველი გვერდიდან

თუმცა, სავარაუდოდ, მთლიანად დაიღუპა შიგ გემში მყოფი ეკიპაჟი - 18 ადამიანი.

გუშინ ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა არაკაპარამბილ კურიან ენტონიმ პრემიერ-მინისტრ მანმოჰან სინგჰთან სიტუაციის განხილვის შემდეგ დაადასტურა ეკიპაჟის დაღუპვა, თუმცა მას ზუსტად არ უთქვამს არც დაღუპულთა და არც დაჭრილთა რაოდენობა. მყვინთავები და მაშველები წყალქვეშა ნავში შეღწევას გუშინ მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. „სინდხურაკშაკი“ თითქმის მთლიანად ჩაიძირა და წყალზევით მისი მხოლოდ მცირე ნაწილია.

„სუბმარინაზე“ ხანძრის ლოკალიზაცია გამთენიისას, დაახლოებით, სამი საათისთვის მოხერხდა. პორტს და სხვა გემებს საფრთხე არ ემუქრებათ, თუმცა კვამლი ჩანდა მთელი მუმბაიდან. იქვე ახლოს მყოფმა კიდევ ერთმა წყალქვეშა ნავმა „სინდურატნამ“ სასწრაფოდ დატოვა დოკი და უსაფრთხო ადგილას გავიდა.

აფეთქების მიზეზები ჯერჯერობით, ცხადია, უცნობია. დანიშნულია გამოძიება, რომელსაც პირადად უხელმძღვანელებს ინდოეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის სარდალი, ადმირალი დევენდრა კუმარ ჯოში, რომელიც მუმბაიში გუშინვე ჩავიდა. მედიაში ტერორისტული თავდასხმის ვერსია გამოითქვა, რადგან პორტში მდგარ გემზე, რომელსაც ძირითადი აგრეგატები გამორთული ჰქონდა, ჯერ აფეთქება მოხდა, შემდეგ კი ხანძარი გაჩნდა. თუმცა თავდაცვის სამინისტრომ ეს ვერსია უარყო. სამინისტროს წარმომადგენლის სიტყვებით, მათ ჯერ ზუსტად არაფერი იციან და ასეთი ვერსიების გაჟღერება სპეკულაციად მიიჩნიეს.

„სინდხურაკშაკი“ ერთ-ერთია იმ ათი წყალქვეშა ნავიდან, რომლებიც რუსეთისგან ინდოეთმა 1986-2000 წლებში იყიდა. ეს არის „პროექტ 877-ეკმ“-ის ტიპის წყალქვეშა ნავი, უფრო ზუსტად, მისი საექსპორტო მოდიფიკაცია „პალტუსი“ (ნატოს კლასიფიკაციით - „კილო“). თვით „სინდხურაკშაკი“ აგებულია რუსეთის ერთ-ერთ უძველეს გემთმშენებელ საწარმო „ადმირალტეისკი ვერფ“-ზე სანკტ-პეტერბურგში, 1995 წელს. 2010 წელს ის რუსეთში დააბრუნეს გეგმიური რემონტისა და მოდერნიზაციისთვის, რაც წელს იანვრისთვის დამთავრდა. წყალქვეშა ნავი ინდოეთის სამხედრო საზღვაო ფლოტს თებერვალში დაუბრუნდა. გემების სარემონტო ქარხანა „ზვიოზდოჩკას“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ წყალქვეშა ნავი რემონტის დამთავრებისას სრულ წესრიგში იყო და ინდოელებს მათ მიმართ მიღებაჩაბარების აქტისას პრეტენზიები არ ჰქონიათ. მანამდე იყო შენიშვნები, რაც გამოსწორდა. რემონტისას რუსებმა წყალქვეშა ნავზე დააყენეს ახალი სარაკეტო კომპლექსი „კლუბი“, ნავიგაციის და კავშირის უცხოური წარმოების თანამედროვე სისტემები, აგრეთვე მაცივარი და აკუმულატორები. შეაკეთეს ენერგეტიკული დანადგარი.

რუსი სპეციალისტების ვარაუდით, აფეთქება შეიძლება ან სააკუმულატორო ორმოში გაჟონვისგან მომხდარიყო, ან საბრძოლო მარაგის დატვირთვისას. არსებობს ინფორმაცია, რომ „სინდხურაკშაკი“ ისევ ზღვაში გასასვლელად ემზადებოდა.

საერთოდ ინდოეთი რუსეთისგან დიდი რაოდენობით ყიდულობს იარაღს. ამ ქვეყანაზე მოდის რუსეთის იარაღის ექსპორტის 60 პროცენტი. მაგალითად 2012 წლის იანვარში ინდოეთს ათწლიანი ლიზინგით გადასცეს ატომური სუბმარინა „ნერპა“ 900 მილიონ დოლარად. რუსეთი ინდოეთს აწვდის ავიაგამანადგურებლებს, ასევე მიჰყიდა ავიამზიდი „ვიკრამადიტია“.

ხუთიდან ოთხი ვრიზი

პირველი გვერდიდან

Open Doors-ის გამარჯვებულები

გარდა ამისა, ფესტივალის უმაღლესი ჯილდოთი აღნიშნეს ოთარ იოსელიანის კინოკარიერაც, რომელსაც საპატიო «ოქროს ლეოპარდი» «ევრიმაჟში» საქართველოს წარმომადგენელმა თამარ ტატიშვილმა გადასცა.

Open Doors ლოკარნოს კინოფესტივალის ფარგლებში წელს მეთერთმეტედ გაიმართა. როგორც წესი, პროგრამა ყოველწლიურად კონკრეტულ ქვეყანას ან რეგიონს მასპინძლობს, წელს კი მისი ყურადღება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისკენ იყო მომართული. პროგრამა შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით ხორციელდება და არა მხოლოდ კინოპროექტების კონკურსს, არამედ მათი ავტორების ევროპელ კინოპროდუსერებთან დაკავშირებასა და შემდგომში კოპროდუქციის გადასაღებად პირობების შექმნას, ასევე პიჩინგ ტრენინგებსა და უორქშოფების სერიას ითვალისწინებს. საქართველოს მხრიდან შემდეგი პროექტები იყო შერჩეული: რუსუდან გლურჯიძის «სხვისი სახლი“, გიორგი ოვაშვილის „ხიბულა“, ნინო გოგუას „მადონა“, რუსუდან პირველის «ძილის გაკვეთილები» და ალექსანდრე კვატაშიძის „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“.

პროგრამის ჯილდოები ასე გადანაწილდა: CNC-ს (Centre National du cinema et de l'image animee) ჯილდო რუსუდან პირველის პროექტს ერგო, ნინო გოგუას «მადონამ» პროექტის პოსტპროდაქშენის ნომინაციაში გაიმარჯვა, განვითარების ნომინაციის რჩეული სომეხი ოქსანა მირზოიანის კინოპროექტი გახდა, ხოლო ARTE-სა და პროგრამის მთავარი, Open Doors Production Award-ის ნომინაციების გამარჯვებული ალექსანდრე კვატაშიძის «ჩეჩნეთის გზაჯვარედინი» გახდა.

კვატაშიძის «ჩეჩნეთი» დოკუმენტური ფილმის პროექტია, რომელიც Open Doors-ისგან 20 ათას დოლარიან დაფინანსებას მიიღებს, «არტესგან» კი 6 ათას ევროს.

ფილმის სიუჟეტი ექვსი ფოტორეპორტიორის გარშემო იკვრება. ისინი წლების განმავლობაში ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მუშაობდნენ. მათ შორის იყო თავად ალექსანდრე კვატაშიძეც, რომელმაც ჩეჩნეთის საზღვარი პირველად 1999 წელს იქ მიმდინარე ომის ფოტომემატიანეს შექმნის მიზნით გადაკვეთა. ამ ისტორიას რეჟისორი ლოკარნოში მიცემულ ინტერვიუებში თავად იხსენებს: «1999 წელს საქართველოში ფრანგი ფოტოგრაფი ფრანსუაზა გავიცანი, რომელიც ჩეჩნეთში აპირებდა გამგზავრებას. მაშინ ჩეჩნეთზე მხოლოდ ერთი წარმოდგენა მქონდა - ეს იყო ჯოჯოხეთი დედამიწაზე, სადაც ისლამისტი ფუნდამენტალისტები ჟურნალისტების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ. წასვლა გადავწყვიტე, რადგან მიმაჩნდა, რომ ამით ფრანსუაზას დავიცავდი. მაშინ ძალიან ახალგაზრდა და გულუბრყვილო ვიყავი და მუდამ რაღაცის დამტკიცებას ვცდილობდი. ვიცოდი, რომ შეიძლებოდა იქ ვინმეს მოვეკალი ან გავეტაცე, მაგრამ სურვილი შიშზე ძლიერი აღმოჩნდა.»

სწორედ მაშინ გაიცნო ჩეჩნეთში მომუშავე ომის რეპორტიორები, მის თქმით, მამაცი იდეალისტებისა და ექსცენტრიკული მოგზაურების გუნდი, რომლებიც მზად იყვნენ საკუთარი სიცოცხლის ფასად ეთქვათ მთელი მსოფლიოსთვის სიმართლე. ალექსანდრე კვატაშიძემ ამ რეპორტიორების გვერდით თითქმის ცამეტი წელიწადი გაატარა და მათთან ერთად ხედავდა, როგორ ინგრეოდა გარშემო ყველაფერი, როგორ იტაცებდნენ და კლავდნენ ადამიანებს. ალექსანდრე კვატაშიძე ამბობს: «ეს ფილმი ჩემი ცხოვრების ისტორიაა, აღწერს პერიოდს, როდესაც სრულიად ახალგაზრდა ვიყავი და მომიწია ისეთი ადამიანების წრეში ყოფნა, რომლებიც მუდამ მემახსოვრებიან და რომლებმაც ჩემზე დიდი გავლენა მოახდინეს. ფილმის მთავარი სათქმელი სწორედ მათი მოტივაციის ახსნა იქნება: რატომ მიდიან სხვის ომში, რას გაურბიან, რისი შეცნობა სურთ.»

«ჩეჩნეთის გზაჯვარედინი» საქართველოს (Lokokina Studio), საფრანგეთის, ესტონეთისა და ჰოლანდიის კოპროდუქციაა. წინასწარი მონაცემებით გადაღებები იწარმოებს საქართველოში, იტალიაში, საფრანგეთში, სამხრეთ აფრიკაში, კონგოსა და, ცხადია, ჩეჩნეთში. ფილმის პროექტი საქართველოს ეროვნული კინოცენტრის სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულია და 40 ათას ლარიანი დაფინანსება აქვს მიღებული. «ჩეჩნეთის გზაჯვარედინის» გადაღება სავარაუდოდ 2014 წელს დასრულდება.

ოთარ იოსელიანი კი კინემატოგრაფის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოეს და მისი ფილმების რეტროსპექტივაც გაიმართა. ლოკარნოს მაყურებელმა ნახა «იყო შაშვი მგალობელი», «პასტორალი», «ყაჩაღები. თავი VII» და «შანტრაპა».

სპორტი

ერთჯერადები

ზურა თალაკვაძე

დავით უსტიაშვილი

კალათბურთი ძალიან მარტივი და რთული თამაშია. კალათბურთი ყველას ესმის. ყოველ შემთხვევაში, ყველას ჰქონია, რომ ესმის. და ეს ცოდნა, ძირითადად, ერთჯერადია. ხუთი ხუთზე სირბილით იღლები, აგდებ ორიანს, ხანდახან სამიანს და ერთიანს. მიდიხარ სბორებზე“, მშობელს ხელოვნური ფიზიონომიით უმტკიცებ, რომ მისი შვილი პოტენციური ჯორდანი ან ბოდიროგაა და იქს პიატის“ ქეშს რამდენიმე თვეში აგროვებ. თუ რამდენიმე სბორს“ შანსავ, უკეთეს მანქანას იღებ და ეს კალათბურთის ცოდნით მოდის. კალათბურთი ძალიან მარტივი და რთული თამაშია. ჩვენთან ერუდირებული და მარტივი მწვრთნელები არიან. უფრო სწორად, საქართველოში მარტივად და არასაკმარისად ერუდირებული მწვრთნელები არიან.

კალათბურთის ფედერაციის არჩევნებთან მივდივართ. ნელი ნაბიჯით, მწყობრად. კალათბურთის ფედერაციის არჩევნებით მწვრთნელები აზრზე მოდიან და ვერაზე, ვაკეში, ვაკე-საბურთალოზე ბევრი პოტენციური მესინა, ობრადოვიჩი, ბლატი, უსტიაშვილი გამოდის. ერთჯერადი მწვრთნელები მარტივი ერუდიციით და მრავალჯერადი თაღლითობის ნიჭით. ერთ-ერთმა მწვრთნელმა, მეგობრული ურთიერთობის გასამტკიცებლად, შემომთავაზა:

შენი ბიჭი ვაბშე სხვა ვოზრასტია, მაგრამ სბორებზე გამოუშვი, გაერთობა, ხანდახან ვათამაშებთ, სხვა ასაკში კია, მაგრამ, ხო აზრზე ხარ, ბასკეტბოლ ნე იმეეტ გრანიც“... - და იქვე კუში დამისახელა. ერთი კვირა მხოლოდ ამდენ და ამდენ ლარად. - იტოგში, გაგისწორდება“. არ გამოვიდა და ზბორებმა“ ჩემი შვილის გარეშე ჩაიარა.

ადრე, დიდი ხნის წინ, კალათბურთის ფედერაციამ საქართველოში სამწვრთნელო სემინარი ჩაატარა. ჩამოვიდა სოლიდური მწვრთნელი სოლიდური ცოდნით და მთელი ამ ცოდნის სასიამოვნოდ გადმოცემის ნიჭით. სემინარი ვიზუალურად სემინარი იყო და რეალურად იმ ერუდირებულ ბიძას ჩათვლის მიღების გამო უსმენდნენ. ამ .... (შედარება მამაკაცის სასქესო ორგანოსთან) მე რა უნდა მასწავლოს“ კულუარებში ყველაზე პოპულარული თემა იყო. და ჩვენი, ქართველი ერუდიტები მაინც იქ იყვნენ და იმ ...ს (შედარება მამაკაცის სასქესო ორგანოსთან) უსმენდნენ. გული დაგწყდება, რომ სემინარს ის ... ატარებდა და ჩვენთან მესინები და ბლატები იყვნენ. ბლატები არა და ბლატებით იყვნენ. მშობლებთან მეგობრულ-ჯიგრულ-ქართულ-აფერისტული ურთიერთობა მაშინაც მოდაში იყო და დღეესაც ძალიან პოპულარულია.

კალათბურთის ფედერაციამ ასაკის გადაკეთებას ყური აუწია და ბევრს მაგრად მოეხაზა. დააკლდა პერსპექტივისა და პერსპექტივაში კარგი კუშის მოხსნის პერსპექტივა. საქართველოს კალათბურთის განვითარების კავშირმა რამდენიმე კარგი საღამო ჩაატარა და ერთ-ერთზე მწვრთნელმა თავისი კლასელები ათამაშა. ბიძებმა გასახდელში ერთიც გადაისვეს ბიზაპასნი“ და რეალურ ბავშვებს მოუგეს. მწვრთნელებს ეს აფერისტული პონტი არ მოეწონათ და ის, მატყუარა მწვრთნელი, დედას იფიცებდა, რომ ბიძები“ სხვა გუნდებშიც იყვნენ. რომ ასაკის გადაკეთება ისევ მოდაშია და რომ სხვები ამას უფრო ჩოტკად“ აკეთებენ. ჩვეულებრივი, აფერისტი ქართველი მწვრთნელის უინტერესო აღსარება. ის მწვრთნელი ბავშვებს ბავშვობას და იმ ბავშვების მშობლებს სოლიდურ თანხას ართმევს. და იმ გამობრძმედილ გადამგდებ ტიპს მწვრთნელი ჰქვია. რეალურად, კლასიკური ქართული სურათი გამოდის - კალათბურთის სემინარზე ჩამოსული კარგი სპეციალისტი ...ა და პითეკანთროპის დონეზე დარჩენილი კაი ბიჭი“ ტიპი - მწვრთნელია.

მწვრთნელი უნდა ფლობდეს საკმარის სამწვრთნელო და არა მარტო სამწვრთნელო ცოდნას და ჩვენთან ეს ასე არ არის. სამწვრთნელო ცოდნის მხრივ პროგრესზე არ ფიქრობენ და ისე, ჟიზნენი“ ერუდიციას ეს ტიპები ვეღარ მიიღებენ. არ არის აუცილებელი, მწვრთნელი ბავშვებს დიკენსის, რიდის, ბუსენარის ან კუპერის ფრაზებით ესაუბრებოდეს. ეს არ მოეთხოვება. უბრალოდ, მწვრთნელი ბავშვისთვის მისაბაძი უნდა იყოს. და თუ მშობელი წაგებული თამაშის მერე იგებს, რომ მისი შვილი არაკეთილსინდისიერად აკეთებს საქმეს, რომ მისი შვილი მას (მშობელს) ატყუებს, შეხედეთ მწვრთნელს - იმ ტიპის სახეზე სირცხვილი დიდი ხნის წინ გადაიფარა და დაიმალა. იმ ტიპის სახეზე ახალი აფერისტული გეგმაა. აი, ძმაო (ეუბნება მწვრთნელი“ მშობელს), სულ სხვა რაღაცას ვეუბნები, სულ სხვა რაღაცას აკეთებს და სულ სხვა რაღაც უნდა გააკეთოსო. მშობელი შვილს დედას აგინებს, ან (თუ მშობელი ისედაც დედაა) ულამაზო ჟესტით სთავაზობს მანქანაში ჩაჯდომას.

რეალურად კარგი მწვრთნელები არალეგალური ხელფასის ლეგალიზაციაზე არ ნერვიულობენ. რეალურად კარგ მწვრთნელებს რეალურად კარგი პირობები აქვთ. რეალურად კარგი მწვრთნელები რეალურად კარგად აკეთებენ საქმეს. ჩვეულებრივი პროცესია. და ამ პროცესმა ბევრი არაკეთილსინდისიერი პერსონაჟი გაანაწყენა. რეალურად კარგი მწვრთნელი განსხვავდება რეალურად კარგი მატყუარა ადამიანისგან და ესეც რეალურია. ეს რეალურმა აფერისტებმაც იციან. და საქართველოში იმ, ერუდირებული აფერისტების სემინარზე უფრო მეტი მსმენელი მივა, ვიდრე რეალურ სემინარზე. საქართველოსთვის ჩვეულებრივი თემაა.

კარგი მწვრთნელია გელა წულაძე. ემოცია არ ფარავს ცოდნას და ცოდნა არ იმალება ერუდიციის უკან. ბონუსი.

კარგი მწვრთნელია გია კაზანჯიანი. უბრალოდ, კარგი მწვრთნელია, რომელიც რეალურად კარგი მწვრთნელების კონსპექტებით იზრდება.

კარგი მწვრთნელია კოტე ტულუში. ძალიან კარგი მოთამაშე გახდა კარგი მწვრთნელი და ქართულ საკალათბურთო უბანში საუკეთესო მოსაუბრე. კოტეს კოზირები ერუდიცია და ასაკია. გაქაჩავს.

კარგი მწვრთნელია დავით უსტიაშვილი. უბრალოდ, ყველაზე კარგი მწვრთნელია. დამიჯერეთ, ასეა. უსტო მისაბაძია. არა მხოლოდ სამწვრთნელო ამბებში. შური და ანტიპათია ჩარეცხეთ და თვალებში გამოიხედეთ. გააკეთეთ? მშვენიერი. ესე იგი, ხედავთ, რომ დათოსგან ბევრს ისწავლით.

და იგორ კოკოშკოვსაც არა უშავს. როგორც ჩვენი ერუდირებული მწვრთნელები“ იტყოდნენ, წავა რა... იგორი ერთ დღეს მართლა წავა, NBA-ს რომელიმე კლუბის მთავარი მწვრთნელი გახდება და ჩვენი პროფესიონალები სბორების“ კუშზე მაღლა ვერ ავლენ. ეს არის ჩვენი სამწვრთნელო ამბების ძირითადი თემა.

კალათბურთი ძალიან მარტივი და რთული თამაშია. კალათურთი ყველას ესმის. ყოველ შემთხვევაში, ყველას ჰქონია, რომ ესმის. ეს ცოდნა, ძირითადად, ერთჯერადია. ხუთი ხუთზე სირბილით იღლები, აგდებ ორიანს, ხანდახან სამიანს და ერთიანს. მიდიხარ სბორებზე“, მშობელს ხელოვნური ფიზიონომიით უმტკიცებ, რომ მისი შვილი პოტენციური ჯორდანი ან ბოდიროგაა და იქს პიატის“ ქეშს რამდენიმე თვეში აგროვებ. თუ რამდენიმე სბორს“ შანსავ, უკეთეს მანქანას იღებ და ეს კალათბურთის ცოდნით მოდის. კალათბურთი ძალიან მარტივი და რთული თამაშია. ჩვენთან ძალიან ერუდირებული და მარტივი მწვრთნელები არიან. უფრო სწორად, საქართველოში მარტივად და არასაკმარისად ერუდირებული მწვრთნელები არიან.

ერთჯერადები ვართ რა...

ამინდი

აბასთუმანი	-2°C - -9°C	ათენი	13°C - 11°C
ბათუმი	12°C - 8°C	ანტალია	15°C - 8°C
ზუგდიდი	8°C - 4°C	ბაქო	9°C - 3°C
თბილისი	12°C - 2°C	ბუდაპეშტი	2°C - -2°C
ქუთაისი	9°C - 5°C	ერევანი	7°C - -1°C
სამტრედია	8°C - 5°C	ვენა	-1°C - -4°C
გორი	9°C - -4°C	კიევი	1°C - -3°C
სენაკი	9°C - 6°C	თელ-ავივი	22°C - 14°C
წინანდალი	11°C - 1°C	ლონდონი	3°C - -3°C
გონიო	12°C - 7°C	მოსკოვი	-8°C - -15°C
მანგლისი	5°C - -5°C	მიუნხენი	-2°C - -7°C
გუდაური	-3°C - -16°C	ნიუ-იორკი	1°C - -3°C
მესტია	2°C - -11°C	პრაღა	-3°C - -8°C
ბოლნისი	11°C - -2°C	სტამბული	11°C - 8°C
ლაგოდეხი	11°C - -2°C	პარიზი	3°C - -4°C
ბაკურიანი	-3°C - -10°C	რომი	13°C - 5°C
ბორჯომი	6°C - -3°C	ბერლინი	-2°C - -7°C
საჩხერე	8°C - 1°C	პეკინი	7°C - -2°C
მცხეთა	11°C - -1°C	ტოკიო	7°C - 2°C
სოხუმი	10°C - 6°C	დელი	23°C - 12°C
ურეკი	9°C - 7°C	მინსკი	-5°C - -8°C
ხაშური	7°C - -2°C	ტალინი	-4°C - -7°C
ზესტაფონი	9°C - 2°C	ასტანა	-10°C - -16°C
ფოთი	9°C - 7°C	ბიშკეკი	9°C - -3°C
ცხინვალი	6°C - -4°C	დუბაი	25°C - 18°C
შატილი	-3°C - -8°C	დუშანბე	16°C - 6°C
რუსთავი	13°C - 1°C	ვილნიუსი	-5°C - -11°C
თელავი	11°C - 1°C	იოჰანესბურგი	-3°C - -8°C
კასპი	10°C - -2°C	იოჰანესბურგი	-1°C - -9°C
გურჯაანი	10°C - -1°C	კაირო	26°C - 16°C
სიღნაღი	10°C - 0°C	კიშინიოვი	6°C - -1°C
მარნეული	11°C - -2°C	კოპენჰაგენი	0°C - -5°C
წყნეთი	10°C - -2°C	ოსლო	-2°C - -8°C
სიონი	3°C - -7°C	რეიკიავიკი	8°C - 6°C
სურამი	7°C - -2°C	რიგა	-6°C - -12°C
თიანეთი	8°C - -3°C	სტოკჰოლმი	-3°C - -8°C
ხარაგაული	9°C - 1°C	ტაშკენტი	9°C - 1°C
ჭიათურა	7°C - -1°C	ჰელსინკი	-2°C - -6°C
ხობი	9°C - 6°C	ბარსელონა	16°C - 9°C
ლანჩხუთი	10°C - 6°C	ბუქარესტი	8°C - 2°C
ჩოხატაური	9°C - 4°C	ვარშავა	-1°C - -5°C
ოზურგეთი	10°C - 4°C	ლისაბონი	17°C - 11°C
ქობულეთი	12°C - 8°C	მადრიდი	13°C - 6°C
ონი	6°C - -4°C	ნეაპოლი	14°C - 6°C
ამბროლაური	4°C - -4°C	სოფია	9°C - 1°C
ომალო	0°C - -6°C	სტრასბურგი	-4°C - -7°C
ახალციხე	5°C - -3°C	ჰამბურგი	-3°C - -5°C
უშგული	-5°C - -14°C	ფრანკფურტი	-3°C - -9°C
დავით-გარეჯი	9°C - 0°C		

ვალუტის კურსი

AED	10 არაბეთის საამიროების დირჰამი	4.5105
AMD	1000 სომხური დრამი	4.0407
AUD	1 ავსტრალიური დოლარი	1.5310
AZN	1 აზერბაიჯანული მანათი	2.1119
BGN	1 ბულგარული ლევი	1.1152
BRL	1 ბრაზილიური რიალი	0.7422
BYR	10000 ბელორუსული რუბლი	1.8719
CAD	1 კანადური დოლარი	1.6023
CHF	1 შვეიცარიული ფრანკი	1.7642
CNY	10 ჩინური იუანი	2.6994
CZK	10 ჩეხური კრონა	0.8392
DKK	10 დანიური კრონი	2.9261
EGP	10 ეგვიპტური გირვანქა	2.3661
EUR	1 ევრო	2.1822
GBP	1 ინგლისური გირვანქა	2.5419
HKD	10 ჰონკონგური დოლარი	2.1355
HUF	100 უნგრული ფორინტი	0.7394
ILS	10 ისრაელის შეკელი	4.6390
INR	100 ინდური რუპია	2.7732
IRR	10000 ირანული რიალი	0.6737
ISK	100 ისლანდიური კრონი	1.3732
JPY	100 იაპონური იენი	1.6576
KGS	100 ყირგიზული სომი	3.3810
KWD	1 ქუვეითური დინარი	5.8147
KZT	100 ყაზახური ტენგე	1.0825
LTL	10 ლიტვური ლიტი	6.3258
LVL	1 ლატვიური ლატი	3.1081
MDL	10 მოლდავური ლეი	1.2938
NOK	10 ნორვეგიული კრონი	2.7924
NZD	1 ახალზელანდიური დოლარი	1.3220
PLN	10 პოლონური ზლოტი	5.1682
RON	10 რუმინული ლეი	4.9390
RSD	100 სერბიული დინარი	1.9252
RUB	100 რუსული რუბლი	5.1271
SEK	10 შვედური კრონი	2.5539
SGD	1 სინგაპურული დოლარი	1.3090
TJS	10 ტაჯიკური სომონი	3.4743
TMT	10 თურქმენული მანათი	5.8126
TRY	1 თურქული ლირა	0.8651
UAH	10 უკრაინული გრივნა	2.0726
USD	1 აშშ დოლარი	1.6566
UZS	1000 უზბეკური სუმი	0.7871
ZAR	10 სამხრეთაფრიკული რანდი	1.6846
KRW	1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.4831
QAR	10 ყატარული რიალი	4.5497

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	3.20	+0.01	+0.28%
გაზი	3.57	-0.02	-0.53%
ოქრო	1,737.90	-6.80	-0.39%
ხორბალი	867.75	-0.75	-0.09%
S&P/TSX Composite Index	12,810.20	+123.58	+0.97%
Nasdaq Composite Index	3,213.59	+21.56	+0.68%
Dow Jones Industrial Average	14,035.70	+53.91	+0.39%

როცა პენსია იზრდება

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი



დღეს საქართველოში ხშირად ახსენებენ «ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებას, რომელიც პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას გულისხმობდა. საზოგადოებაშიც მუდმივად ცოცხლობს და საყოველთაოდ წახალისებულია პენსიების ზრდის ნებისმიერი შეპირება და შესაბამისი გადაწყვეტილება. ამ ფონზე რეალური საპენსიო რეფორმის აუცილებლობა (რის შესახებაც, სხვათა შორის, ასევე იყო საუბარი «ქართული ოცნების“ საპროგრამო დოკუმენტში) ნაკლებად აქტუალურია და ეს მხოლოდ ექსპერტთა ვიწრო წრის განსჯის თემად რჩება. არადა მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასეთი რეფორმის გარეშე მზარდი სოციალური ვალდებულებების აღება საქართველოზე ბევრად ძლიერი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ქვეყნებსაც კი უჭირთ.

რამდენიმე ციფრი განსჯისთვის: დღეს საქართველოში 682,9 ათასი ადამიანი იღებს პენსიას. ეს ციფრი სულ უფრო და უფრო ზრდადია და მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქვეყანაში ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან (იხილეთ დიაგრამა).

ჯანმრთელობის დაცვის სისტემების გაუმჯობესებამ, უკურნებელი დაავადებების კლებამ, ახალ მედიკამენტებზე და მკურნალობის განვითარებულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის მატებამ, მნიშვნელოვნად გაზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა მთელ მსოფლიოში. გაერო-ს ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის (UNDESA) მონაცემების მიხედვით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში (1980-2011 წლების ქრონოლოგიურ მონაკვეთში) გაზრდილია განვითარების ოთხივე საფეხურზე მყოფ ქვეყნებში, თან საკმაოდ მნიშვნელოვნად:

ძალიან მაღალი განვითარების ქვეყნებში - 73,4 წლიდან 80 წლამდე;

მაღალი განვითარების ქვეყნებში - 64,8 წლიდან 73,1 წლამდე;

საშუალო განვითარების ქვეყნებში - 61,4 წლიდან 69,7 წლამდე;

დაბალი განვითარების ქვეყნებში - 50,1 წლიდან 58,7 წლამდე

როგორც სამ ათეულ წელიწადზე ინტენსიური დაკვირვება მიუთითებს, ეს შეუქცევადი ტენდენციაა, რაც საპენსიო სქემებისთვის მუდმივად მზარდი გადასახდელების არსებობაზე მიანიშნებს.

სხვათა შორის, შესაძლოა, არაკორექტულადაც ჟღერდეს, თუმცა მსოფლიოში ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა საპენსიო ტვირთის ზრდისა და სოციალური პრობლემების საფუძველი ხდება, ზოგ შემთხვევაში კი - საპენსიო რეფორმებისაც, რადგან ეკონომიკური რეცესიებისა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის პირობებში დასაქმებულ ადამიანებს სულ უფრო და უფრო უჭირთ საპენსიო ასაკის ადამიანთა რჩენა. იქ, სადაც გაცნობიერებული აქვთ, რომ ნებისმიერი ხარჯი ბიუჯეტიდან ისევ და ისევ რიგითი ადამიანების ჯიბიდან გადახდილი ფულია, მაგალითად - საფრანგეთსა და გერმანიაში, ბოლო პერიოდში საპენსიო ასაკის გაზრდის (ანუ პენსიაზე გასვლის უფლების გადავადების) მოთხოვნით საკმაოდ მრავალრიცხოვანი აქციებიც იმართება ხოლმე.

საქართველოში დღეს პენსიების უზრუნველყოფაზე 1 146, 7 მილიონი ლარი იხარჯება და ყოველწლიურად ეს თანხა იზრდება (როგორც უკვე აღვნიშნეთ - საპენსიო ასაკის ადამიანთა რაოდენობის ზრდისა და, ასევე, თავად პენსიების ზრდის ხარჯზე). (იხილეთ დიაგრამა); საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშებით, ეს თანხა 256 ლარს შეადგენს, ერთ დაქირავებით დასაქმებულზე კი - 1731 ლარს წელიწადში. ეს ნიშნავს, რომ ერთი დაქირავებით დასაქმებული ყოველთვიურად 1 პენსიონერზე მეტს ინახავს (ყოველთვიური ტვირთი 144 ლარს აღწევს) და რაც უფრო გაიზრდება პენსიების ოდენობა, დასაქმებულთა რაოდენობა კი უცვლელი დარჩება (რაც, სამწუხაროდ, დღეს ხდება), მით გაიზრდება ის ტვირთი, რომელიც დასაქმებულმა მოქალაქემ უნდა იკისროს. ეს ან გარდაუვალ დამატებით გადასახადებამდე მიგვიყვანს, ან - გარდაუვალ საპენსიო რეფორმამდე, რომელიც ასევე დამატებით გადასახდელებს გულისხმობს. ამიტომ საპენსიო ცვლილებებზე, მათ შორის - პენსიების ოდენობის ზრდაზე საუბრისას, ალბათ საზოგადოებას ამ ტიპის ინფორმაციაც უნდა მიეწოდოს და ასე შეეთავაზოს არჩევანი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო არ არის პირველი ქვეყანა, რომელიც მსგავსი პრობლემის წინაშე დგება. მით უმეტეს, მაშინ როცა მსოფლიოში სულ უფრო და უფრო ზრდადია მემარცხენე ტენდენციები. შესაბამისად, დაგროვილია გარკვეული გამოცდილებაც და მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან საპენსიო უზრუნველყოფის სხვადასხვა მოდელები მოქმედებს. მათ შორის ნიუანსური სხვაობების მიუხედავად, უპირატესად ყველა ეს მოდელი შეიძლება, სამ მსხვილ ჯგუფად დავყოთ. თითოეულ მათგანზე მოკლედ შევჩერდებით და უპირატესობებსა და რისკებზეც ვიტყვით რამდენიმე სიტყვას:

1. საპენსიო უზრუნველყოფის სოლიდარულ პრინციპზე დამყარებული მოდელი

ამ მოდელის მოქმედების პირობებში საპენსიო გასაცემლები შრომისუნარიანი მოსახლეობიდან მობილიზებული გადასახდელების (გადასახადები, საგადაზღვევო შენატანები) მეშვეობით ფინანსდება.

ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის პირობებში, როგორც წესი, იზრდება შრომის ანაზღაურების და, შესაბამისად, საპენსიო ანარიცხების ოდენობაც. პენსიების ინდექსაცია კი ტრადიციულად შრომისუნარიანი მოსახლეობის ჯამურად გადახდილი თანხის ზრდის ხარჯზე ხდება.

თუმცა, ამ მოდელს მნიშვნელოვანი რისკები ახლავს. უპირველესად ის, რომ მოსახლეობის დაბერების კვალობაზე მნიშვნელოვნად იცვლება შრომისუნარიანებისა და პენსიონერების თანაფარდობა. შედეგად, ჯამური ანარიცხების ოდენობა პენსიების დონის შესანარჩუნებლად არასაკმარისი ხდება, ინდექსაცია ვეღარ ხორციელდება და პენსიის ოდენობა შრომის ანაზღაურებასთან მიმართებით მცირდება, რაც პენსიების კლების წინაპირობაა.

ამავე დროს, როგორც ბევრი ქვეყნის გამოცდილებამ ცხადყო, არანაკლები რისკია ნაციონალური მთავრობების ან მთავრობაში მოსვლის მოსურნე პოლიტიკური დაჯგუფებების პოლიტიკური პოპულიზმი, რომელიც საპენსიო პრობლემატიკას ხშირად იყენებს პოლიტიკური მხარდაჭრის მოსაპოვებლად. შედეგად, ხშირად მთავრობები ნიშნავენ ან ზრდიან პენსიებს მისი გრძელვადიანი დაფინანსების წყაროს განსაზღვრის გარეშე და გრძელვადიანი რისკების გაუთვლელად.

2. საპენსიო უზრუნველყოფის დაგროვებით პრინციპზე დამყარებული მოდელი

ეს მოდელი გულისხმობს პენსიის დაგროვების ინდივიდუალურ ხასიათს, პენსიის სიდიდე კი დამოკიდებულია საპენსიო შენატანის სიდიდესა და საპენსიო ფონდების მიერ განხორციელებული საინვესტიციო სტრატეგიის წარმატებასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

დაგროვებით მოდელს ეკონომიკის ზრდის ციკლისა და განვითარებული ფინანსური ბაზრის პირობებში მდგრადი ზრდა ახასიათებს, როცა დაბანდებებიდან მიღებული სარგებელი ინფლაციის და ხელფასების ზრდას აღემატება.

ამავდროულად, «დაგროვებების» წილის ზრდა მშპ-ში ქმნის მყარ სტიმულებს ეკონომიკის ზრდისთვის.

თუმცა, თვალსაჩინოა დაგროვებით პრინციპზე დამყარებული საპენსიო მოდელისთვის დამახასიათებელი რისკებიც.

უპირველესად ის გარემოება, რომ ეკონომიკის ციკლური ბუნებიდან გამომდინარე, ზრდა არ არის ყოველთვის შეუქცევადი. ეკონომიკის ვარდნის და უკანასკნელ პერიოდში მომრავლებული კრიზისების პირობებში დაგროვილი რესურსი შეიძლება, კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების ფასის კლების გამო გაუფასურდეს.

ამავდროულად, დაგროვებითი საპენსიო სისტემის მონაწილეები უფრო მაღალი ხარისხით არიან დაუცველნი საბაზრო რისკების და ინფლაციის მიმართ.

3. საპენსიო უზრუნველყოფის შერეულ პრინციპზე დამყარებული მოდელი

ეს მოდელი გულისხმობს გარკვეული ელემენტების შეჯერებას როგორც სოლიდარული, ასევე დაგროვებითი საპენსიო სქემების მოდელებიდან. ამგვარი მიდგომა ნაწილობრივ ამცირებს რისკებს და ზრდის მოქნილობას საპენსიო უზრუნველყოფაში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობის მოცულობის განსაზღვრისას.

შერეული მოდელის არსებობა კრიზისის დროს ასევე შესაძლებელს ხდის რისკის გადანაწილებას საპენსიო სქემებს შორის.

თუმცა, ამ მოდელსაც ახლავს არსებითი რისკები. კერძოდ, პრობლემას წარმოადგენს საპენსიო უზრუნველყოფის სქემაში მონაწილეთა აქტივობის და პასუხისმგებლობის პროპორციის და, შესაბამისად, სახელმწიფო ხარჯების და კერძო სექტორის კონტრიბუციის ეფექტიანად განსაზღვრა.

ამავე დროს, სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტერესების კონფლიქტის შემთხვევაში, შერეული მოდელი სისტემის მოქნილობას და საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობას ამცირებს.

ამ სამ პრინციპთაგან ერთ-ერთზე დაფუძნებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემები ფუნქციონირებს. საქართველოს რომელიმე მათგანზე არჩევანის გაკეთება მოუწევს და სანამ ეს არჩევანი გაკეთდება, ვფიქრობთ, დეტალურად უნდა იყოს გაანალიზებული ყველა რისკი და საზოგადოებაშიც მნიშვნელოვანი სამუშაო უნდა ჩატარდეს, რადგან საზოგადოებრივი მზაობა ყველა ამ შემთხვევაში რეფორმის წარმატების მთავარი წინაპირობა გახლავთ.

ყურებჩამოყრილის მონოლოგი

პირველი გვერდიდან

ყაზახებმა სწორად გათვალეს, მეტოქედ ჩვენ შეგვარჩიეს და არც გაემტყუნებათ. მერე რა, რომ ფიფას რეიტინგში 149-ე ადგილზე არიან, მთავარია ისეთი მეტოქე შეარჩიეს, რომელსაც მოუგებდნენ და მოუგეს კიდეც.

ყველა კმაყოფილია, ყაზახი მშრომელი ხალხი აღფრთოვანებული. ერთი ჩვენ დავრჩით მარტო ყურებჩამოყრილი, მაგრამ მერე რა? ზეიმი ხომ ყაზახეთშია და არა საქართველოში. ეს რომ ერთეული შემთხვევა იყოს, ვიტყოდი არა უშავს, ხდება ხოლმე-მეთქი, მაგრამ რატომღაც სულ ჩვენს თავს ხდება და ამას ბოლო არ უჩანს. ესეც ქართული ფეხბურთის ამოუხსნელი ფენომენი.

ქართველები შინაგანად მაქსიმალისტები ვართ. მუდმივად მაქსიმუმს მოვითხოვთ ყველა დარგში, რაც საქართველოს ეხება, მაგრამ მყისვე იმედები გვიცრუვდება ხოლმე, რადგან ჩვენს ქვეყანას და მის შესაძლებლობებს კარგად არ ვიცნობთ. ესეც არაპროფესიონალიზმის ან არასწორი ქადაგების შედეგია იმათგან, ვინც უნდა გვიქადაგოს. არც ფეხბურთი გვცოდნია (თუმცა ცოდნას იცოცხლე ვიჩემებთ ხოლმე). მახსოვს, როცა 1990-იან შავ-ბნელ წლებში გერმანია, ბულგარეთი, ინგლისი თუ იტალია გვხვდებოდა, ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსებს ვითვლიდით: გერმანიას და ბულგარეთს რომ სახლში მოვუგოთ, გასვლაზე ფრე რომ ვითამაშოთ... გავალთო ვამბობდით. ესეც ჩვენი უვიცობა იყო და როცა პირველივე მატჩებში ხასიათი წაგვიხდებოდა ხოლმე, ვამბობდით, მწვრთნელი არ გვივარგა, თორემ ასეთი ფეხბურთელებით ჯგუფიდან როგორ ვერ გავედითო? გვიკვირდა.

მწვრთნელიც ბევრი შევცვალეთ. ვინ აღარ მოვიყვანეთ: ჟირესი თუ კუპერი, ტოპმიოლერი თუ ბოსკამპი, მაგრამ გუნდს არ იქნა და არ ეშველა. მერე ფეხბურთელებზე გადავედით, ვლანძღავდით შოთა არველაძეს, რომლის დარი ფორვარდი შენგელიას შემდეგ არ გვღირსებია - კლუბში მაგრად თამაშობს, ნაკრებში კი არ ინძრევაო. იგივეს ვამბობთ ახლაც დვალიშვილზე, რომელიც ისრაელშიც ბომბარდირი იყო და პოლონეთშიც საუკეთესო გოლეადორია, მაგრამ ერთი კაცი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც იტყოდა, რომ საქართველოს ნაკრებს ფანტაზია

ქეცბაიას გუნდი ზედიზედ მე-4 დამარცხდა

აკლია, შემოქმედი ფეხბურთელი, რომელიც წარმართავდა გუნდის შეტევებს და ზუსტ გადამწყვეტ პასს გააკეთებდა.

შოთა არველაძეც და ლადო დვალიშვილიც თავისი ფორმაციის ნაკრებებში საუკეთესონი იყვნენ, მაგრამ ისეთი შედეგიანები ვერ აღმოჩნდნენ, როგორც კლუბში. მათ თავიანთ კლუბებში ზუსტად განსაზღვრული პოზიცია ჰქონდათ და პასის მიმწოდებელიც ჰყავდათ, ამიტომაც გახდნენ ბომბარდირები. ეროვნულ გუნდში კი ყოველივე ამას მოკლებულნი იყვნენ. ხშირად მინახავს შოთა არველაძე მოედნის ცენტრში ჩამოსული, რომ ბურთი როგორმე მიეღო, ლადო დვალიშვილმა კი ყაზახეთთან მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ითამაშა, კლუბში კი ცენტრფორვარდის ფუნქციებს ასრულებს. ვერ მიიღო ბურთი დასარტყმელ პოზიციაზე და შესაბამისად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტიც დაბალი აღმოჩნდა.

მოდით ვაღიაროთ, რომ ქეცბაიას გუნდმა შეტევა არ იცის. მას მოგებაზე თამაში არ შეუძლია. ამიტომაც არის, რომ როცა პირველ გოლს ვუშვებთ, თამაშის შემობრუნება გვიჭირს. ფაქტობრივად, გამოდის, რომ საქართველოს ნაკრები პირველ გოლამდე თამაშობს, შემდეგ კი ფეტვივით იშლება და უბრალოდ აღარ იცის, რა აკეთოს. ყაზახურ შეხვედრაში, გაშვებული გოლის შემდეგ, მოჩვენებითი უპირატესობა კი გვქონდა, ბურთს ვფლობდით, მაგრამ ჩვენი ყველა დარტყმული მცველების ნადავლი ხდებოდა.

ფეხბურთელებს ბურთი საკუთარი საჯარიმოდან მეტოქის საჯარიმომდე კი ამოაქვთ, მაგრამ შეტევის გაგრძელებას ველარ პოულობენ, ბოლო ზუსტი პასის გაკეთება აღარ შეუძიათ და ჩვენი შეტევებიც იქვე მთავრდება. ყაზახეთშიც ასე იყო. საჯარიმოს მისადგომებთან მიტანილ ბურთებს ვკარგავდით. ეს კი მასპინძლებს დაცვას უადვილებდა და სწრაფი კონტრშეტევების განხორციელების საშუალებას აძლევდა. ქართველმა ფეხბურთელებმა როცა დაინახეს, რომ მეტოქის საჯარიმოში შესვლას ვერ ახერხებდნენ, გარედან დარტყმებიც სცადეს. თარგამაძემ, კობახიძემ, რამდენჯერმე დაარტყეს მასპინძელთა კარში, მაგრამ ბურთმა კარამდე ერთხელაც ვერ მიაღწია. ის მუდმივად მცველებს ხვდებოდა და უკეთეს შემთხვევაში კუთხურზე გადადიოდა. კუთხურებიც ყაზახი ფეხბურთელების იოლი ნადავლი ხდებოდა. ესეც პარადოქსი.

სიმართლე რომ ითქვას, თემურ ქეცბაიამ ყველაფერი გააკეთა, მის ხელთ არსებული რესურსებით. მინდორზე სამი ფორვარდი შეიყვანა, მაგრამ ნაკრების შეტევა ამით არ გამოსწორებულა. პირიქით, ნუკრი რევიშვილის თავგანწირული თამაში რომ არა, შეიძლებოდა შეხვედრა დიდი ანგარიშითაც წაგვეგო. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრებს ფანტაზია აკლია. შემოქმედი ფეხბურთელი არ ჰყავს, რომელიც გუნდს აიყოლიებს და შეტევაში გაუძღვება. შესაბამისად, მოგებაზე თამაშიც გვიჭირს.

დათო ყიფიანი და რამაზ შენგელია გვჭირდება და ვიდრე მათ არ გავზრდით, უმჯობესი იქნება, ფინალურ ეტაპებზე საუბარს თავი დავანებოთ.

ერთადერთ ნუგეშად ისევ 21-წლამდელები გვრჩება, რომლებმაც ამხანაგურ შეხვედრაში ლატვიელი თანატოლები გაანადგურეს - 4:0.

ყაზახეთი - საქართველო 1:0 (1:0)

14 აგვისტო. ასტანა. «ასტანა არენა.»

ყაზახეთი: სიდელნიკოვი, მულდაროვი, კისლიცინი, ნურდალეტოვი, დმიტრენკო, ჟუმასკალიევი (ბაიჟანოვი 79), შომკო (ურინი 90+2), ბოგდანოვი, ხიჟნიჩენკო (ოსტაპენკო 62), კორობკინი, შჩოტკინი (ენგელი 69)

მწვრთნელი: მიროსლავ ბერანეკი

საქართველო: რევიშვილი, კაშია (შოთა გრიგალაშვილი 82), ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, გრიგალავა, კობახიძე, კანკავა, ოქრიაშვილი (მჭედლიძე 46), თარგამაძე (გელაშვილი 68), ანანიძე (ელგუჯა გრიგალაშვილი 46), სირბილაძე (დვალიშვილი 46)

მწვრთნელი: თემურ ქეცბაია

გოლი: 1:0 ხიჟნიჩენკო (17)

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის განცხადება

14 აგვისტოს საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გაიმართა ფედერაციის გამგეობის სხდომა. გამომდინარე იმ დაპისპირებებიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 10 აგვისტოს დაგეგმილი რიგგარეშე ყრილობის წინ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ფედერაციის წესდების ახალი რედაქციით მიღება აუცილებელია მისი პროექტის განხილვაში საზოგადოების ფართო ფენებისა და საკალათბურთო სამყაროს ჩართვის გზით. უნდა მოხდეს წესდების პროექტის შეჯერება კალათბურთით დაინტერესებული ნებისმიერი პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფთან.

ამისთვის მოვუწოდებთ ყველას:

შექმნილ გაუგებრობას ნუ მივცემთ დაპირისპირების და კონფლიქტის სახეს. მით უმეტეს ახლა, როცა წინ გველის უმძიმესი და პასუხისმგებლობით აღსავსე ევროპის ჩემპიონატი.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გამგეობა გამოაცხადებს საკალათბურთო სამყაროს სხვადასხვა წარმომადგენლებთან და საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან შეხვედრების განრიგს, სადაც მაქსიმალურად შეჯერდება ახალი წესდების რედაქცია.

მხოლოდ ამის მერე დაინიშნება ფედერაციის ყრილობა წესდების ახალი რედაქციით მისაღებად.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება მხოლოდ წესდების შეჯერებული ვარიანტის საფუძველზე და არა «ხელების გადაგრეხვის» პრინციპით.

ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის ფორმით იჯარით გაცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, თვითმმართველი ერთეულის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარით გაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს:

1. ქ. წყალტუბო კოლხეთის ქუჩა ?2-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე განთავსებული 225,8 კვ.მ საოფისე ფართის 10 წლის ვადით იჯარით გასაცემად.

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 3175 /სამიათასასსამოცდათხუთმეტი/ ლარს;

2. ქ. წყალტუბო რუსთაველი ქუჩა ?25-ში მდებარე (გამგეობის ადმინისტრაციული შენობა) შენობის პირველ სართულზე განთავსებული 12.8 კვ.მ. საოფისე ფართის 1 წლის ვადით იჯარით გასაცემად.

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 412 /ოთხასთორმეტი/ ლარს;

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 21.67 კვ.მ. საოფისე ფართის 1 წლის ვადით იჯარით გასაცემად.

ა. საწყისი წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 110 /ასათი/ ლარს;

თითოეული იჯარით გასაცემი ქონებისათვის სადეპონენტო თანხის / ბე"/ -ს ოდენობა შეადგენს მისი საწყისი წლიური საიჯარო ქირის 10 %, სააუქციონო ბიჯი წლიური საიჯარო ქირის 5%-ს, ხოლო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 20 ლარით.

აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები

1. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში - მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დასახელებას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იმ ქონების საწყის საიჯარო ქირის ოდენობას, რომლის სარგებლობის უფლების მიღებაც სურს მონაწილეს.

ბ) ბე-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბილეთისა და ბე"-ს საფასურის გადახდა უნდა მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მითითებულ ანგარიშზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის სპეცანგარიში საიდენტიფიკაციო კოდი - 221274546, ანგარიშის ?GE95LB0120123490525001 ბანკის დასახელება: ლიბერთი ბანკის წყალტუბოს ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, (იურიდიული პირის შემთხვევაში).

2. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების ვადიანი სარგებლობისათვის მაქსიმალურად მაღალი სარგებლობის ქირის გადახდა.

3. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2013 წლის 15 აგვისტოდან 2013 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით 11 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 30 აგვიტოს 15.00 საათზე. მისამართი: ქალაქი წყალტუბო, შანიძის ქუჩა ?1 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მე-4 სართული ტელეფონი 595959052.

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP) წამყვანი კომპანიაა საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე. ის მაღალი ხარისხის საიმედო მომსახურებას უწევს თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობას, სახელმწიფო ორგანიზაციებს, სამრეწველო და კომერციულ ობიექტებს.

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" აცხადებს კონკურსს N 006-BID-CON-13 მარტყოფის ქუჩაზე მდებარე 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის თაობაზე.

აუცილებელი მოთხოვნები:

1. წინადადების წარდგენისას მონაწილე არ უნდა იყოს:
- გაკოტრების პროცესში
- ლიკვიდაციის პროცესში
- საქმიანობის დროებით შეჩერების მდგომარეობაში.

2. მონაწილე კომპანიას უნდა გააჩნდეს მსგავსი სამუშაოების შესრულების არანაკლებ 3 (სამი)-წლიანი გამოცდილება.

დამატებითი ინფორმაცია და პროექტი გაიცემა კომპანიის სათავო ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე (ელექტრონული ფორმით). ასევე, შესაძლებელია დოკუმენტაციის მიღება ელექტრონული ფორმით, მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოთხოვნის გაგზავნის მეშვეობით (აუცილებელია სათაურში (subject) მითითებული იყოს კონკურსის ნომერი).

წინადადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2013 წლის 23 აგვისტო, 15:00 სთ.
წინადადების წარდგენის ფორმა: დახურული კონვერტი.

საკონტაქტო ინფორმაცია:
საკონტაქტო პირი: ეკატერინე კვინტრაძე
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
მის.: თბილისი, კოსტავას I შესახვევი, 33
ელ. ფოსტა: ekvintradze@georgianwater.com
ტელეფონი: +(995 322) 931111 (1147)


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
7 SEPTEMBER
NATIONAL CASTING
TBILISI MALL
14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
BEAUTY SALON L'Academie
OUtdooR.ge
MSG MARKETING
ADSSPRINT
TBILISI MALL
McCANN TBILISI
Curves
NEPTUN
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink